

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 18 ოქტომბრის სხდომის

ოქმი =39

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი), ესწრებოდა 22. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** დასამტკიცებლად წარმოგიდგინებ ცვლილებებს სტუ-ს საშტატო განრიგში, რაც, ძირითადად, განპირობებულია უნივერსიტეტის რეორგანიზაციით (საქართველოს მთავრობის დადგენილება =190; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება =133/ნ), „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებში განხორციელებული ცვლილებებით. აღნიშნული ცვლილებები აისახა, როგორც საშტატო განრიგის შემადგენლობაზე, ასევე სახელფასო განაკვეთზეც. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების კუთხით ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომლებად რჩებიან მხოლოდ სამეურნეო მომსახურე პერსონალი, დაცვის თანამშრომლები და დამლაგებლები. რაც შეეხება ფაკულტეტებს, იქ შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასი გაიცემა მხოლოდ საათობრივი ანაზღაურებით.

**პროფ. დავით ჯათარაძე:** წარმოდგენილი საშტატო განრიგი მოითხოვს კორექტირებას იმის გათვალისწინებით, რომ ვადებში შემღვდელი ვართ და ამან შეიძლება ხელფასების გაცემა გააჭიანუროს, უნდა დავამტკიცოთ იგი, როგორც

დროებითი საშტატო განრიგი, რომელიც იმოქმედებს პირველ იანვრამდე. ახალ საშტატო განრიგზე სენატის შესაბამის კომისიას მოუწევს სერიოზული სამუშაოს ჩატარება. თხოვნა გვექნება ადმინისტრაციასთან, რომ საშტატო განრიგის პროექტი წარმოდგენილ იქნეს რეგლამენტით დათქმულ დროში.

**სპიკერი:** ვეთანხმები ბატონ დავით ჯაფარიძეს და გაცნობებთ, რომ საშტატო განრიგი გახლავთ დროებითი. მომავალი წლის იანვარში კვლავ იგეგმება ცვლილებები.

**სპიკერმა** კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

### გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა ცვლილებები სტუ-ს საშტატო განრიგში, რაც ძირითადად განპირობებულია უნივერსიტეტის რეორგანიზაციით (საქართველოს მთავრობის დადგენილება =190; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება =133/ნ), „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებში განხორციელებული ცვლილებებით.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები სტუ-ს საშტატო განრიგში, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების ადმინისტრაციებისა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების, აკადემიური პერსონალის, ასევე, მონვეული პროფესორებისა და მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებელსა და მათ თვიურ სახელფასო განაკვეთს.

წარმოდგენილი საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი ამოქმედებულად ჩაითვალოს მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს ადმინისტრაციის, საფაკულტეტო, კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებსა და, შესაბამისად,

ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგინო 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, კერძოდ:

1. გაიზარდოს უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი 8 000 ლარით, რაც გამოიწვია სტუ-სა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ (N131/13), რომლის თანახმად, სტუ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩაერიცხა 8 000 ლარი უნივერსიტეტში რაგბის განვითარების მიზნით და განაწილდეს ხარჯვითი ნაწილის შემდეგ მუხლებში: პრემიის მუხლში 2 000 ლარი; რბილი ინვენტარის და უნიფორმის ხარჯებში 1 500 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის იჯარის ხარჯებში 3 000 ლარი; კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებში 1 500 ლარი.

2. გაიზარდოს ზოგიერთი ფაკულტეტისა და მთლიანად უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი 353 250 ლარით, რაც გამოიწვია ზოგიერთ ფაკულტეტზე გეგმით გათვალისწინებულ სტუდენტთა კონტინგენტის ზრდამ.

3. გაიზარდოს ადმინისტრაციისა და უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის (ფაკულტეტები) როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი 495 743 ლარით, რაც გამოიწვია სტუდენტთა მიერ ბიუჯეტით დაუგეგმავი დამატებითი სემესტრის ათვისებამ და, შესაბამისად, დამატებითი კრედიტების შექენამ; ჯამში საკუთარი შემოსავლების ხარჯზე სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 848 993 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი 8 000 ლარით. ამდენად სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდა 856 993 ლარით და საბოლოოდ განისაზღვრა 42 313 120 ლარით;

4. გარდა აღნიშნულისა, ფაკულტეტების, ადმინისტრაციისა და კვლევითი ინსტიტუტების ბუჯეტებში (შესაბამისად ნაერთ ბიუჯეტში) განხორციელდეს მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ:

4.1. მე-3 ქვეპუნქტში აღნიშნული შემოსავლის წყაროდან 206 798 ლარი აისახოს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და, შესაბამისად, გაიზარდოს ხელფასის მუხლი 144 000 ლარით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი – 62 798 ლარით. 77 560 ლარი ტრანსფერის სახით გადაეცეს სატრანსპორტო და

მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს, ხოლო 211 385 ლარი – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს;

4.2. განხორციელდეს ადმინისტრაციის დამტკიცებულ ბიუჯეტში შიგა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, გარდა 4.1. პუნქტში აღნიშნულისა, გადატანილ იქნეს 140 135 ლარი კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლიდან; 111 081 ლარი - შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთების მუხლიდან; 22 229 ლარი - ნორმატიული აქტების საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის მუხლიდან; 13 476 ლარი - საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მონყობილობების შეძენის მუხლიდან; 5 292 ლარი - სამედიცინო ხარჯების მუხლიდან; 5 981 ლარი - შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან; 6 650 ლარი - დიპლომების შეძენის მუხლიდან; 6 280 ლარი - უნიფორმების შესყიდვის მუხლიდან; 6 000 ლარი - ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების მუხლიდან; 2 900 ლარი - აუდიტის მომსახურების ხარჯებიდან; 15 000 ლარი - კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან; 2 128 ლარი - სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ხარჯების მუხლიდან; 3 100 ლარი - ტენდერის ჩატარების ხარჯების მუხლიდან; 4 451 ლარი - შენობის პასპორტიზაციის ხარჯების მუხლიდან; 7 820 ლარი - სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, მუხლიდან; 7 768 ლარი - ორდენების, სიგელების, მედლებისა და ფასიანი საჩუქრების ხარჯების მუხლიდან; 7 176 ლარი - სესიების, კონფერენციებისა და ყრილობების ჩატარების ხარჯების მუხლიდან; სულ ჯამში - 367 467 ლარი;

4.3 დიზაინის საერთაშორისო სკოლის შექმნასთან დაკავშირებით და საშტატო ნუსხის გათვალისწინებით, ხელფასის ფონდში გადატანილ იქნეს – 50 000 ლარი ადმინისტრაციის ბიუჯეტის წყლის ხარჯების მუხლიდან;

4.4. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების მუხლში (ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მასშტაბით გათბობის სისტემის მომსახურების მიზნით) გადატანილ იქნეს 3 302 ლარი ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლიდან; 15 000 ლარი - რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის მუხლიდან; 5 550 ლარი -

კადრების მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მუხლიდან; 7 524 ლარი - სასამართლოებისა და კვაზისასამართლოების ხარჯების მუხლიდან;

4.5. ოფისის ხარჯების კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების მუხლში (პროგრამა „კოდექსის“ უნივერსიტეტის მასშტაბით მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდის გამო) გადატანილ იქნეს - 2 200 ლარი არამატერიალური ძირითადი აქტივების, კომპიუტერული პროგრამების შეძენის მუხლიდან;

4.6. კავშირგაბმულობის და სატელეფიზიო მომსახურების ხარჯების მუხლში გადატანილ იქნეს 1 569 ლარი ქონების დაზღვევის გადასახადის მუხლიდან;

4.7. სხვა საქონელი და მომსახურების არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლში (პირველ სასწავლო კორპუსში გათბობის ახალი სისტემის დამონტაჟების სავალდებულო საზედამხედველო მომსახურების მიზნით) გადატანილ იქნეს 23 000 ლარი წყლის ხარჯების მუხლიდან;

4.8. საფოსტო მომსახურების ხარჯებიდან 820 ლარი გადატანილ იქნეს საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმნის მომსახურების ხარჯებში;

4.9. სტუ-ს მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის 2013 წლის 3 ოქტომბრის №4 ოქმის მიხედვით საგრანტო ნომინაციაზე წარმოდგენილი 96 პროექტიდან დაფინანსდა 58 პროექტი. პროექტების ხარჯთაღრიცხვებიდან გამომდინარე დასაფინანსებელი თანხა 2013 წლისათვის შეადგენს 425 247 ლარს, სადაც 344 550 ლარით ფინანსდება საქონელი და მომსახურება; მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 290 806 ლარით, ხოლო ძირითადი აქტივების შეძენა - 80 697 ლარით. სტუ-ს დამტკიცებულ ბიუჯეტში სახელწოდება - „მეცნიერების განვითარებისა და ხელშემწყობის პროგრამა“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „მეცნიერების განვითარებისა და სასწავლო პროცესების ხელშემწყობის პროგრამა“.

მეცნიერების განვითარების პროგრამით გათვალისწინებული 577 472 ლარიდან გამონათვისუფლებული თანხა 152 225 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლიდან გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლში და გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესების ხელშემწყობის პროგრამისათვის. ასევე, სამეცნიერო პროექტების ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული ძირითადი აქტივების შესაძენად

გათვალისწინებული თანხა 80 697 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლიდან გადატანილ იქნეს არათენანსური აქტივების ძირითადი აქტივების პუნქტში.

5. ასევე, განხორციელდა ცვლილებები ფაკულტეტების ბიუჯეტებში, კერძოდ:

5.1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 96 750 ლარით და განისაზღვროს 2 614 500 ლარით. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკა-მათემატიკის ლექცია-სემინარები, რომლებიც ტარდება ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, საჭიროებს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში მობილიზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე 96 750 ლარი გადაეცეს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს ტრანსფერის სახით, რის შემდეგაც ფაკულტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 2 517 750 ლარი, სადაც თანამდებობრივი სარგოს მუხლი შეადგენს 1 409 540 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი – 217 228 ლარს.

აღნიშნული ცვლილებები განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად: სუბსიდიის მუხლიდან 245 000 ლარი გადატანილ იქნეს თანამდებობრივი სარგოს მუხლში, 40 000 ლარი – შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო 13 000 ლარი – არათენანსური აქტივების მუხლის მატერიალური მარაგების პუნქტის ნედლეული და მასალების ქვეპუნქტში;

პროგრამული აკრედიტაციისათვის არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტს დაემატოს 7 870 ლარი, აქედან სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან – 2 870 ლარი, ხოლო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან – 5 000 ლარი.

5.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 14 625 ლარით და შეადგინოს 3 540 750 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკა-მათემატიკის ლექცია-სემინარები, რომლებიც ტარდება ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, საჭიროებს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში მობილიზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე 140 000 ლარი გადაეცეს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს ტრანსფერის სახით, პროფესორ-მასწავლებლების ხელფასის ასანაზღაურებლად. სულ ფაკულტეტის

ბიუჯეტმა შეადგინა 3 400 750 ლარი, სადაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 599 788 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 277 425 ლარს.

აღნიშნული თანხების მობილიზება განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯის მუხლიდან 39 000 ლარი; შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის მუხლიდან 5 000 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 92 346 ლარი; არაფინანსური აქტივების მუხლის კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფის პუნქტიდან 20 000 ლარი, ხოლო სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული პუნქტიდან 13 272 ლარი, სულ 169 618 ლარიდან 140 000 ლარი, გადაეცეს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს და 29 618 ლარით გაიზარდოს ფაკულტეტის თანამდებობრივი სარგო;

პრემიის მუხლში გადატანილ იქნეს 6 811 ლარი, აქედან, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის მუხლიდან 2 000 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტიდან 1 500 ლარი; არაფინანსური აქტივების მუხლის, სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, პუნქტიდან 3 311 ლარი;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს დაემატოს 24 106 ლარი არაფინანსური აქტივების მუხლის სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, პუნქტიდან;

არაფინანსური აქტივების მუხლის მატერიალური მარაგების პუნქტის ნედლეული და მასალების ქვეპუნქტიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში.

5.3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზარდოს 60 750 ლარით და შეადგინოს 1 904 813 ლარი, საიდანაც 20 000 ლარი მიემართება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტისათვის, ხოლო 40 750 ლარი დაემატოს ფაკულტეტის სუბსიდიის მუხლს და ბიუჯეტის საბოლოო საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1 884 813 ლარით, სადაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 257 525 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 217 836 ლარს; აღნიშნული თანხების

მობილიზება განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად: თანამდებობრივი სარგოს მუხლში გადატანილ იქნეს 56 025 ლარი სუბსიდიის მუხლიდან;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში გადატანილ იქნეს 46 800 ლარი, აქედან ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის პუნქტიდან - 11 737 ლარი; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მონწყობილობების შეძენის პუნქტიდან - 6 000 ლარი; რბილი ინვენტარი და უნიფორმიდან - 1 510 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკიდან - 7 539 ლარი, ხოლო ელმონწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის პუნქტიდან - 20 014 ლარი;

ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯებისათვის სუბსიდიის მუხლიდან გამოიყოს 25645 ლარი, ხოლო არამატერიალური მარაგების მუხლიდან - 5105 ლარი.

5.4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზარდოს 6 750 ლარით და შეადგინოს 2 323 188 ლარი, სადანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 711 560 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 341 299 ლარს; აღნიშნული თანხების მობილიზება განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად, კერძოდ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 69 050 ლარით, საიდანაც 62 300 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლიდან, ხოლო 6 750 ლარი - გაზრდილი შემოსავლიდან; რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევის, ფარდა-ჟალუზების შეძენის ხარჯების მუხლში გადატანილ იქნეს 3 160 ლარი მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯის მუხლიდან.

5.5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტი სტუდენტთა რაოდენობის შემცირების გამო შემცირდეს 83 813 ლარით, ხოლო სტუდენტთა მიერ დამატებით შეძენილი კრედიტებიდან გამომდინარე გაიზარდოს 77 560 ლარით. ამდენად, ფაკულტეტის ბიუჯეტი შემცირდეს 6 253 ლარით და განისაზღვროს 3 182 393 ლარით, საიდანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 933 015 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 337 929 ლარს.

აღნიშნული თანხების მობილიზება განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად: თანამდებობრივი სარგოს მუხლში გადატანილ იქნეს 153 175 ლარი, აქედან საკანცელარიო ხარჯებიდან 8 077 ლარი; ნორმატიული აქტების,



საცნობარო და სპეცლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯებიდან 7 250 ლარი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებიდან 41 103 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯებიდან 2 500 ლარი; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან - 925 ლარი; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლის სანვავ-საპოხი მასალების შეძენის პუნქტიდან 3 000 ლარი; მიმდინარე რემონტის, სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის მუხლიდან 3 030 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის რეკლამის ხარჯებიდან 4 500 ლარი; კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 3 000 ლარი; სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებიდან 2 500 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 590 ლარი; სტანდარტიზაციის და სერტიფიკაციის ხარჯების მუხლიდან 1 500 ლარი; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე განეული დანარჩენი ხარჯებიდან 3 000 ლარი; არაფინანსური აქტივების მუხლის კომპიუტერული ტექნიკის შეძენის პუნქტიდან 5 520 ლარი; სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, პუნქტიდან 43 919 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 22 721 ლარი;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს დაემატოს 47 600 ლარი, აქედან: სუბსიდიის მუხლიდან - 33 790 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტიდან - 6 690 ლარი, ხოლო მატერიალური მარაგების მუხლიდან - 7 120 ლარი.

5.6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზარდოს 25 875 ლარით და შეადგინოს 1 373 625 ლარი, საიდანაც 10 000 ლარი მიემართება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტისათვის. 15 875 ლარით გაიზარდოს სუბსიდიის მუხლი და ბიუჯეტის საბოლოო სამემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1 363 625 ლარით, სადაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 767 580 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 223 500 ლარს; აღნიშნული

თანხების მობილიზება განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად: თანამდებობრივი სარგოს მუხლში გადატანილ იქნეს 36 090 ლარი, აქედან საკანცელარიო ხარჯებიდან 1 343 ლარი; კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯებიდან 400 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეცლიტერატურის, უურნალ-გაზეთების შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯებიდან 3 920 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებიდან 12 303 ლარი; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 12 624 ლარი; საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 500 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის რეკლამის ხარჯებიდან 500 ლარი; საკონსულტაციო - სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის ხარჯებიდან 1 000 ლარი; სამეცნიერო ხარჯებიდან 2 000 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 1 500 ლარი;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს დაემატოს 34 221 ლარი, აქედან მივლინების ხარჯებიდან - 9 244 ლარი, არაფინანსური აქტივების მუხლის კომპიუტერული ტექნიკის შეძენის პუნქტიდან - 12 100 ლარი, ხოლო სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, პუნქტიდან - 12 977 ლარი;

პროგრამული აკრედიტაციისათვის არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტს დაემატოს 2 000 ლარი შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან.

5.7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზარდოს 232 313 ლარით და შეადგინოს 10 824 076 ლარი, საიდანაც 50 000 ლარი სუბსიდიის მუხლიდან გადაეცემა ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს ტრანსფერის სახით, რის შემდეგაც ფაკულტეტის ბიუჯეტი განისაზღვრება 10 774 076 ლარით, სადაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2 886 250 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 1 009 635 ლარს;

ასევე, განხორციელდეს ბიუჯეტის შიდა მუხლობრივი ცვლილება: თანამდებობრივი სარგოს მუხლში გადატანილ იქნეს 475 000 ლარი, აქედან სუბსიდიის მუხლიდან 332 687 ლარი, ხოლო გაზრდილი შემოსავლიდან – 142 313 ლარი;

პროგრამული აკრედიტაციისათვის ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლს დაემატოს 15 000 ლარი შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან;

გაზრდილი შემოსავლიდან 40 000 ლარი მიმართულ იქნეს ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯების მუხლში.

5.8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზარდოს 528 135 ლარით და განისაზღვროს 9 095 010 ლარით, სადაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 3 705 498 ლარს. დამტკიცებულ ხელფასის ფონდსა და დაზუსტებულს შორის სხვაობა 673 518 ლარის შევსება განხორციელდეს ფაკულტეტებიდან გადმოცემული ტრანსფერების ხარჯზე. კერძოდ:

- სამშენებლო ფაკულტეტიდან - 96 750 ლარი;
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტიდან - 140 000 ლარი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან - 20 000 ლარი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან - 10 000 ლარი;
- ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტიდან - 50 000 ლარი;
- სულ - 316 750 ლარი.

დამატებითი კრედიტების შემოსავლებიდან მიღებულმა თანხებმა შეადგინა 211 385 ლარი, რაც გაიზარა შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლში.

გარდა ამისა, ხელფასის ფონდის შესავსებად განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: პრემიის მუხლიდან 25 004 ლარი; მივლინების მუხლიდან 17 282 ლარი; საკანცელარიო ხარჯების მუხლიდან 9 493 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენის, დამონტაჟების/დემონტაჟის მუხლიდან 29 640 ლარი; შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 11 200 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის მუხლიდან 5 000 ლარი;

კავშირგაბმულობის მომსახურების ხარჯების მუხლიდან 6 770 ლარი; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლიდან 5 750 ლარი; კადრების მომზადება-გადამზადების, კვალიფიკაციასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლიდან 700 ლარი; სესიების, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯების მუხლიდან 2 200 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლიდან 4 000 ლარი; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე განეული დანარჩენი ხარჯიდან 1704 ლარი; სხვა ხარჯების მუხლიდან - 1800 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდის, სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, მუხლიდან 20 840 ლარი; არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის კომპიუტერების პროგრამების უზრუნველყოფის პუნქტიდან 4 000 ლარი; სულ ჯამში 145 383 ლარი გადატანილ იქნეს თანამდებობრივი სარგოს მუხლში.

ასევე, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში.

6. სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ბუნებრივი აირის ხარჯებიდან 400 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლში.

7. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ელ. ენერჯის ხარჯებიდან 9 540 ლარი, შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავების ხარჯებიდან 1 620 ლარი და სხვა ხარჯებიდან 1 620 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

8. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ინტერნეტის ხარჯებიდან 170 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯებში, მივლინების ხარჯებიდან 150 ლარი – კავშირგაბმულობის ხარჯებში, საწვავ-საპოხი მასალის ხარჯებიდან 400 ლარი – შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო პრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლიდან 770 ლარი – პრემიის პუნქტში.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ქალბატონო ქეთევან, რატომ თვლით, რომ სტუდენტების მიერ შეძენილი კრედიტების შემოსავალი ცენტრალიზებულად უნდა იყო ადმინისტრაციის შემოსავლებში და არა ფაკულტეტებს დარჩეთ ადგილზე?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ამ საკითხზე სენატის ადრინდელ სხდომაზეც იყო საუბარი და შევთანხმდით, რომ კრედიტების მთლიანი შემოსავლის 40%-ს აიღებს ადმინისტრაცია, ხოლო 60% მიეცემათ ფაკულტეტებს. დღესაც ასეთი გზით მივდივართ.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** დაბალანსებული არის თუ არა ბიუჯეტი ყველა დონეზე და ვართ თუ არა გარანტირებული, რომ იგი შესრულდება როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილში?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** მოგეხსენებათ, რომ ბიუჯეტი დაგეგმილია 100%-ზე. ა/ნ 17 ოქტომბრის მონაცემით ჩვენ შესრულება გვაქვს 78%. ასევე, სერიოზულ შემოსავალს ველოდებით პირველი შუალედური წერისთვის, რადგან მოგეხსენებათ, რომ ვისაც გადახდილი არ ექნება თანხა, იგი არ დაიშვება, ამიტომაც შემოსავლის დიდ ტალღას სწორედ ამ დროისათვის ვვარაუდობთ. მე აღნიშნულის მოლოდინში ვარ და ამის შემდეგ უფრო დაზუსტებულ ციფრებსა და ინფორმაციას წარმოგიდგენთ ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სხვა წყაროების შემოსულობებს: სახელმწიფო დაფინანსება სრულდება 100%-ით. იჯარების მიმართულებით ცოტა გადავაჭარბეთ, იმიტომ რომ ხდება ვალების დაბრუნება. ახალი არაფერი არ გაგვიჩარებია. ასევე, ეკონომიკური საქმიანობა ანუ თვითდაფინანსებაზე მომუშავე ცენტრები დადგეგმილს, ასევე, 100%-ით ასრულებენ და, ბოლოს, დეპოზიტი, რომელსაც ასევე ვაჭარბებთ, რადგან ჩვენ 200 000 დავგეგმეთ და ვვარაუდობთ, რომ 50-60 ათასით მეტი შემოვა წლის ბოლომდე დეპოზიტზე.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

## **გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა ცვლილებები სტუ-ს ადმინისტრაციის, საფაკულტეტო, კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებსა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები სტუ-ს ადმინისტრაციის, საფაკულტეტო, კვლევითი ინსტიტუტების ბიუჯეტებსა და, შესაბამისად, ნაერთ ბიუჯეტში, კერძოდ:

1. გაიზარდოს უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი 8 000 ლარით, რაც გამოიწვია სტუ-სა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის დადებული ხელშეკრულებამ (N131/13), რომლის თანახმად, სტუ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩაერიცხა 8 000 ლარი უნივერსიტეტში რაგბის განვითარების მიზნით და განაწილდეს ხარჯვითი ნაწილის შემდეგ მუხლებში: პრემიის მუხლში 2 000 ლარი; რბილი ინვენტარის და უნიფორმის ხარჯებში 1 500 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის იჯარის ხარჯებში 3 000 ლარი; კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებში 1 500 ლარი.

2. გაიზარდოს ზოგიერთი ფაკულტეტისა და მთლიანად უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი 353 250 ლარით, რაც გამოიწვია ზოგიერთ ფაკულტეტზე გვეგით გათვალისწინებულ სტუდენტთა კონტინგენტის ზრდამ.

3. გაიზარდოს ადმინისტრაციისა და უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის (ფაკულტეტები) როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილი 495 743 ლარით, რაც გამოიწვია სტუდენტთა მიერ ბიუჯეტით დაუგეგმავი დამატებითი სემესტრის ათვისებამ და, შესაბამისად, დამატებითი კრედიტების შექნამ; ჯამში საკუთარი შემოსავლების ხარჯზე სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 848 993 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი 8 000 ლარით. ამდენად სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი გაიზარდა 856 993 ლარით და საბოლოოდ განისაზღვრა 42 313 120 ლარით;

4. გარდა აღნიშნულისა, ფაკულტეტების, ადმინისტრაციისა და კვლევითი ინსტიტუტების ბუჯეტებში (შესაბამისად ნაერთ ბიუჯეტში) განხორციელდეს მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ;

4.1. მე-3 ქვეპუნქტში აღნიშნული შემოსავლის წყაროდან 206 798 ლარი აისახოს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და, შესაბამისად, გაიზარდოს ხელფასის მუხლი 144 000 ლარით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი – 62 798 ლარით. 77 560 ლარი ტრანსფერის სახით გადაეცეს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს, ხოლო 211 385 ლარი – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს;

4.2. განხორციელდეს ადმინისტრაციის დამტკიცებულ ბიუჯეტში შიგა მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში,

გარდა 4.1. პუნქტში აღნიშნულისა, გადატანილ იქნეს 140 135 ლარი კომპიუტერული ტექნიკის შეძენის მუხლიდან; 111 081 ლარი - შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთების მუხლიდან; 22 229 ლარი - ნორმატიული აქტების საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის მუხლიდან; 13 476 ლარი - საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მონწყობილობების შეძენის მუხლიდან; 5 292 ლარი - სამედიცინო ხარჯების მუხლიდან; 5 981 ლარი - შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის მუხლიდან; 6 650 ლარი - დიპლომების შეძენის მუხლიდან; 6 280 ლარი - უნიფორმების შესყიდვის მუხლიდან; 6 000 ლარი - ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების მუხლიდან; 2 900 ლარი - აუდიტის მომსახურების ხარჯებიდან; 15 000 ლარი - კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯების მუხლიდან; 2 128 ლარი - სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ხარჯების მუხლიდან; 3 100 ლარი - ტენდერის ჩატარების ხარჯების მუხლიდან; 4 451 ლარი - შენობის პასპორტიზაციის ხარჯების მუხლიდან; 7 820 ლარი - სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული ხარჯების მუხლიდან; 7 768 ლარი - ორდენების, სიგელების, მედლებისა და ფასიანი საჩუქრების ხარჯების მუხლიდან; 7 176 ლარი - სესიების, კონფერენციებისა და ყრილობების ჩატარების ხარჯების მუხლიდან; სულ ჯამში - 367 467 ლარი;

4.3 დიზაინის საერთაშორისო სკოლის შექმნასთან დაკავშირებით და საშტატო ნუსხის გათვალისწინებით, ხელფასის ფონდში გადატანილ იქნეს – 50 000 ლარი ადმინისტრაციის ბიუჯეტის წყლის ხარჯების მუხლიდან;

4.4. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯების მუხლში (ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მასშტაბით გათბობის სისტემის მომსახურების მიზნით) გადატანილ იქნეს 3 302 ლარი ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლიდან; 15 000 ლარი - რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის მუხლიდან; 5 550 ლარი - კადრების მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მუხლიდან; 7 524 ლარი - სასამართლოებისა და კვაზისასამართლოების ხარჯების მუხლიდან;

4.5. ოფისის ხარჯების კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების მუხლში (პროგრამა „კოდექსის“ უნივერსიტეტის მასშტაბით მომხმარებელთა

რაოდენობის გაზრდის გამო) გადატანილ იქნეს - 2 200 ლარი არამატერიალური ძირითადი აქტივების, კომპიუტერული პროგრამების შეძენის მუხლიდან;

4.6. კავშირგაბმულობის და სატელეფიზიო მომსახურების ხარჯების მუხლში გადატანილ იქნეს 1 569 ლარი ქონების დაზღვევის გადასახადის მუხლიდან;

4.7. სხვა საქონელი და მომსახურების არაკლასიფიცირებული ხარჯების მუხლში (პირველ სასწავლო კორპუსში გათბობის ახალი სისტემის დამონტაჟების სავალდებულო საზედამხედველო მომსახურების მიზნით) გადატანილ იქნეს 23 000 ლარი წყლის ხარჯების მუხლიდან;

4.8. საფოსტო მომსახურების ხარჯებიდან 820 ლარი გადატანილ იქნეს საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმნის მომსახურების ხარჯებში;

4.9. სტუ-ს მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის 2013 წლის 3 ოქტომბრის №4 ოქმის მიხედვით საგრანტო ნომინაციაზე წარმოდგენილი 96 პროექტიდან დაფინანსდა 58 პროექტი. პროექტების ხარჯთაღრიცხვებიდან გამომდინარე დასაფინანსებელი თანხა 2013 წლისათვის შეადგენს 425 247 ლარს, სადაც 344 550 ლარით ფინანსდება საქონელი და მომსახურება; მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 290 806 ლარით, ხოლო ძირითადი აქტივების შეძენა - 80 697 ლარით. სტუ-ს დამტკიცებულ ბიუჯეტში სახელწოდება - „მეცნიერების განვითარებისა და ხელშემწყობის პროგრამა“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „მეცნიერების განვითარებისა და სასწავლო პროცესების ხელშემწყობის პროგრამა“.

მეცნიერების განვითარების პროგრამით გათვალისწინებული 577 472 ლარიდან გამონთავისუფლებული თანხა 152 225 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლიდან გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების მუხლში და გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესების ხელშემწყობის პროგრამისათვის. ასევე, სამეცნიერო პროექტების ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული ძირითადი აქტივების შესაძენად გათვალისწინებული თანხა 80 697 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლიდან გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ძირითადი აქტივების პუნქტში.

5. ასევე, განხორციელდა ცვლილებები ფაკულტეტების ბიუჯეტებში, კერძოდ:

5.1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 96 750 ლარით და განისაზღვროს 2 614 500 ლარით. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკა-



მათემატიკის ლექცია-სემინარები, რომლებიც ტარდება ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, საჭიროებს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში მობილიზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე 96 750 ლარი გადაეცეს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს ტრანსფერის სახით, რის შემდეგაც ფაკულტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 2 517 750 ლარი, სადაც თანამდებობრივი სარგოს მუხლი შეადგენს 1 409 540 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი – 217 228 ლარს.

აღნიშნული ცვლილებები განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად: სუბსიდიის მუხლიდან 245 000 ლარი გადატანილ იქნეს თანამდებობრივი სარგოს მუხლში, 40 000 ლარი – შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო 13 000 ლარი – არათენანსური აქტივების მუხლის მატერიალური მარაგების პუნქტის ნედლეული და მასალების ქვეპუნქტში;

პროგრამული აკრედიტაციისათვის არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტს დაემატოს 7 870 ლარი, აქედან სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის, კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან – 2 870 ლარი, ხოლო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან – 5 000 ლარი.

5.2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 14 625 ლარით და შეადგინოს 3 540 750 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკა-მათემატიკის ლექცია-სემინარები, რომლებიც ტარდება ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, საჭიროებს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტში მობილიზებას. აღნიშნულიდან გამომდინარე 140 000 ლარი გადაეცეს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს ტრანსფერის სახით, პროფესორ-მასწავლებლების ხელფასის ასანაზღაურებლად. სულ ფაკულტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 3 400 750 ლარი, სადაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 599 788 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 277 425 ლარს.

აღნიშნული თანხების მობილიზება განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯის მუხლიდან 39 000 ლარი; შენობა-ნაგებობების და

მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის მუხლიდან 5 000 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 92 346 ლარი; არაფინანსური აქტივების მუხლის კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფის პუნქტიდან 20 000 ლარი, ხოლო სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, პუნქტიდან 13 272 ლარი, სულ 169 618 ლარიდან 140 000 ლარი გადაეცეს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს და 29 618 ლარით გაიზარდოს ფაკულტეტის თანამდებობრივი სარგო;

პრემიის მუხლში გადატანილ იქნეს 6 811 ლარი, აქედან, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის მუხლიდან 2 000 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტიდან 1 500 ლარი; არაფინანსური აქტივების მუხლის, სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, პუნქტიდან 3 311 ლარი;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს დაემატოს 24 106 ლარი არაფინანსური აქტივების მუხლის სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, პუნქტიდან;

არაფინანსური აქტივების მუხლის მატერიალური მარაგების პუნქტის ნედლეული და მასალების ქვეპუნქტიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში.

5.3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზარდოს 60 750 ლარით და შეადგინოს 1 904 813 ლარი, საიდანაც 20 000 ლარი მიემართება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტისათვის, ხოლო 40 750 ლარი დაემატოს ფაკულტეტის სუბსიდიის მუხლს და ბიუჯეტის საბოლოო საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1 884 813 ლარით, სადაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 257 525 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 217 836 ლარს; აღნიშნული თანხების მობილიზება განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად: თანამდებობრივი სარგოს მუხლში გადატანილ იქნეს 56 025 ლარი სუბსიდიის მუხლიდან;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში გადატანილ იქნეს 46 800 ლარი, აქედან ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეცლიტერატურის პუნქტიდან - 11 737

ლარი; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მონწყობილობების შეძენის პუნქტიდან - 6 000 ლარი; რბილი ინვენტარი და უნიფორმიდან - 1 510 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკიდან - 7 539 ლარი, ელმონწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის პუნქტიდან - 20 014 ლარი;

ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯებისათვის სუბსიდიის მუხლიდან გამოიყოს 25645 ლარი, ხოლო არამატერიალური მარაგების მუხლიდან – 5105 ლარი.

5.4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზარდოს 6 750 ლარით და შეადგინოს 2 323 188 ლარი, სადანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 711 560 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 341 299 ლარს; აღნიშნული თანხების მობილიზება განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად, კერძოდ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 69 050 ლარით, საიდანაც 62 300 ლარი გადატანილ იქნეს სუბსიდიის მუხლიდან, ხოლო 6 750 ლარი – გაზრდილი შემოსავლიდან; რბილი ინვენტარის, ხალიჩების, გზამკვლევის, ფარდა-ჟალუზების შეძენის ხარჯების მუხლში გადატანილ იქნეს 3 160 ლარი მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯის მუხლიდან.

5.5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტი სტუდენტთა რაოდენობის შემცირების გამო შემცირდეს 83 813 ლარით, ხოლო სტუდენტთა მიერ დამატებით შეძენილი კრედიტებიდან გამომდინარე გაიზარდოს 77 560 ლარით. ამდენად, ფაკულტეტის ბიუჯეტი შემცირდეს 6 253 ლარით და განისაზღვროს 3 182 393 ლარით, საიდანაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1 933 015 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 337 929 ლარს.

აღნიშნული თანხების მობილიზება განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად: თანამდებობრივი სარგოს მუხლში გადატანილ იქნეს 153 175 ლარი, აქედან საკანცელარიო ხარჯებიდან 8 077 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეცლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯებიდან 7 250 ლარი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებიდან 41 103 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯებიდან 2 500 ლარი; შენობა-

ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან - 925 ლარი; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლის საწვავ-საპოხი მასალების შეძენის პუნქტიდან 3 000 ლარი; მიმდინარე რემონტის, სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის მუხლიდან 3 030 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის რეკლამის ხარჯებიდან 4 500 ლარი; კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 3 000 ლარი; სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებიდან 2 500 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 590 ლარი; სტანდარტიზაციის და სერტიფიკაციის ხარჯების მუხლიდან 1 500 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე განეული დანარჩენი ხარჯებიდან 3 000 ლარი; არაფინანსური აქტივების მუხლის კომპიუტერული ტექნიკის შეძენის პუნქტიდან 5 520 ლარი; სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, პუნქტიდან 43 919 ლარი; სუბსიდიის მუხლიდან 22 721 ლარი;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს დაემატოს 47 600 ლარი, აქედან: სუბსიდიის მუხლიდან - 33 790 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტიდან - 6 690 ლარი, ხოლო მატერიალური მარაგების მუხლიდან - 7 120 ლარი.

5.6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზარდოს 25 875 ლარით და შეადგინოს 1 373 625 ლარი, საიდანაც 10 000 ლარი მიემართება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტისათვის. 15 875 ლარით გაიზარდოს სუბსიდიის მუხლი და ბიუჯეტის საბოლოო საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1 363 625 ლარით, სადაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 767 580 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 223 500 ლარს; აღნიშნული თანხების მობილიზება განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებების შედეგად: თანამდებობრივი სარგოს მუხლში გადატანილ იქნეს 36 090 ლარი, აქედან საკანცელარიო ხარჯებიდან 1 343 ლარი; კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯებიდან 400 ლარი; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეცლიტერატურის, ურნალ-გაზეთების შეძენის და ამავე მიზნებთან დაკავშირებული

საგამომცემლო-სასტამბო ხარჯებიდან 3 920 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებიდან 12 303 ლარი; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 12 624 ლარი; საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 500 ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის რეკლამის ხარჯებიდან 500 ლარი; საკონსულტაციო - სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის ხარჯებიდან 1 000 ლარი; სამეცნიერო ხარჯებიდან 2 000 ლარი; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებიდან 1 500 ლარი;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლს დაემატოს 34 221 ლარი, აქედან მივლინების ხარჯებიდან 9 244 ლარი; არაფინანსური აქტივების მუხლის კომპიუტერული ტექნიკის შეძენის პუნქტიდან 12 100 ლარი, ხოლო სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, პუნქტიდან – 12 977 ლარი;

პროგრამული აკრედიტაციისათვის არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტს დაემატოს 2 000 ლარი შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან.

5.7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზარდოს 232 313 ლარით და შეადგინოს 10 824 076 ლარი, საიდანაც 50 000 ლარი სუბსიდიის მუხლიდან გადაეცემა ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტს ტრანსფერის სახით, რის შემდეგაც ფაკულტეტის ბიუჯეტი განისაზღვრება 10 774 076 ლარით, სადაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2 886 250 ლარს, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 1 009 635 ლარს;

ასევე, განხორციელდეს ბიუჯეტის შიდა მუხლობრივი ცვლილება: თანამდებობრივი სარგოს მუხლში გადატანილ იქნეს 475 000 ლარი, აქედან სუბსიდიის მუხლიდან 332 687 ლარი, ხოლო გაზრდილი შემოსავლიდან – 142 313 ლარი;

პროგრამული აკრედიტაციისათვის ძირითადი აქტივების მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლს დაემატოს 15 000 ლარი შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან;

გაზრდილი შემოსავლიდან 40 000 ლარი მიმართულ იქნეს ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯების მუხლში.

5.8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზარდოს 528 135 ლარით და განისაზღვროს 9 095 010 ლარით, სადაც თანამდებობრივი სარგო შეადგენს 3 705 498 ლარს. დამტკიცებულ ხელფასის ფონდსა და დაზუსტებულს შორის სხვაობა 673 518 ლარის შევსება განხორციელდეს ფაკულტეტებიდან გადმოცემული ტრანსფერების ხარჯზე. კერძოდ:

- სამშენებლო ფაკულტეტიდან - 96 750 ლარი;
- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტიდან - 140 000 ლარი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან - 20 000 ლარი;
- არქიტექტურის, ურბანიტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან - 10 000 ლარი;
- ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტიდან - 50 000 ლარი;
- სულ - 316 750 ლარი.

დამატებითი კრედიტების შემოსავლებიდან მიღებულმა თანხებმა შეადგინა 211 385 ლარი, რაც გაიზარა შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლში.

გარდა ამისა, ხელფასის ფონდის შესავსებად განხორციელდეს შიდა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: პრემიის მუხლიდან 25 004 ლარი; მივლინების მუხლიდან 17 282 ლარი; საკანცელარიო ხარჯების მუხლიდან 9 493 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენის, დამონტაჟების/დემონტაჟის მუხლიდან 29 640 ლარი; შენობა-ნაგებობებისა და მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯების მუხლიდან 11 200 ლარი; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის მუხლიდან 5 000 ლარი; კავშირგაბმულობის მომსახურების ხარჯების მუხლიდან 6 770 ლარი; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლიდან 5 750 ლარი; კადრების მომზადება-გადამზადების, კვალიფიკაციისა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლიდან 700 ლარი; სესიების, კონფერენციების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯების მუხლიდან 2 200 ლარი; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლიდან 4 000

ლარი; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე განეული დანარჩენი ხარჯიდან 1704 ლარი; სხვა ხარჯების მუხლიდან - 1800 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდის, სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, მუხლიდან 20 840 ლარი; არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლის კომპიუტერების პროგრამების უზრუნველყოფის პუნქტიდან 4 000 ლარი; სულ ჯამში 145 383 ლარი გადატანილ იქნეს თანამდებობრივი სარგოს მუხლში.

ასევე, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლიდან 5 000 ლარი გადატანილ იქნეს სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლში.

6. სტუ-ს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ბუნებრივი აირის ხარჯებიდან 400 ლარი გადატანილ იქნეს კავშირგაბმულობის ხარჯების მუხლში.

7. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ელენერგის ხარჯებიდან 9 540 ლარი; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა-დასუფთავების ხარჯებიდან 1 620 ლარი და სხვა ხარჯებიდან 1 620 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

8. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ინტერნეტის ხარჯებიდან 170 ლარი გადატანილ იქნეს წყლის ხარჯებში, მივლინების ხარჯებიდან 150 ლარი – კავშირგაბმულობის ხარჯებში, სანავაგ-საპოხი მასალის ხარჯებიდან 400 ლარი – შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, ხოლო შრომის ანაზღაურების ხელფასის მუხლიდან 770 ლარი – პრემიის პუნქტში.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს გასაიჯარებელ ფართებთან დაკავშირებით – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგინთ სტუ-ს კორპუსებში გასაიჯარებელ ფართებს, კერძოდ:

1. მე-2 სასწავლო კორპუსის ანტრესოლის სართულზე 12 მ<sup>2</sup> ფართის ოთახი, ქსეროგრაფიული მომსახურების მიზნით;

2. მე-8 სასწავლო კორპუსის მესამე სართულის ფოიეში 5 მ<sup>2</sup> ფართი ქსეროგრაფიული მომსახურების მიზნით;

3. მე-8 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე ფოიეში 5 მ<sup>2</sup> ფართი ქსეროგრაფიული მომსახურების მიზნით;

4. ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე (ნახევრად სარდაფი) არსებული 156 მ<sup>2</sup> ფართი, ბავშვთა ცენტრის მოწყობის მიზნით.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

### **გ ა დ ა ნ წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა საკითხი სტუ-ს კორპუსებში გასაიჯარებელი ფართების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს კორპუსებში გასაიჯარებელი ფართები, კერძოდ:

1. მე-2 სასწავლო კორპუსის ანტრესოლის სართულზე 12 მ<sup>2</sup> ფართის ოთახი, ქსეროგრაფიული მომსახურების მიზნით;

2. მე-8 სასწავლო კორპუსის მესამე სართულის ფოიეში 5 მ<sup>2</sup> ფართი ქსეროგრაფიული მომსახურების მიზნით;

3. მე-8 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე ფოიეში 5 მ<sup>2</sup> ფართი ქსეროგრაფიული მომსახურების მიზნით;

4. ადმინისტრაციული კორპუსის პირველ სართულზე (ნახევრად სარდაფი) არსებული 156 მ<sup>2</sup> ფართი, ბავშვთა ცენტრის მოწყობის მიზნით.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან „ტრანსნაციონალური დანაშაულის კვლევის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ივნისის დადგენილება =949 – მომხსენებელი პროფ. ჯემალ ჯანაშია.

**პროფ. ჯემალ ჯანაშია:** აღნიშნული ცენტრის შექმნის აუცილებლობა განაპირობა იმან, რომ გაფორმდა მემორანდუმი პოლიციის აკადემიასთან. პოლიციის აკადემიამ რამდენიმე ჩვენს პროფესორს სთხოვა ლექციების წაკითხვა ტრანსნაციონალურ დანაშაულებთან დაკავშირებით. აღნიშნულ ლექციების კურსს მე ჩავუდექი სათავეში, ასევე, ჩვენი დეპარტამენტიდან 4 პროფესორი მიიღებს კიდევ მონაწილეობას. არსებობს პერსპექტივა, რომ აშშ-დან ერთ-ერთი ინსტიტუტი გაგვიერთიანდეს ამ კვლევებში. ცენტრი იმოქმედებს თვითდაფინანსების პროცესით.



**პროფ. დავით ჯაფარიძე:** დაკვეთა ექნება ცენტრს?

**პროფ. ჯემალ ჯანაშია:** დაკვეთა უკვე მივიღეთ. 4 ჩვენი პროფესორი დასაქმდება პოლიციის აკადემიაში.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე პროფ. ჯემალ ჯანაშიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ტრანსნაციონალური დანაშაულის კვლევის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 ივნისის დადგენილება =949.

**სენატმა გადაწყვიტა:** დამტკიცდეს სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ტრანსნაციონალური დანაშაულის კვლევის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს „3დ სტერეოსკოპული ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 სექტემბრის დადგენილება =963 – მომხსენებელი პროფ. გივი ლოლაძე.

**პროფ. გივი ლოლაძე:** წარმოგიდგინოთ საკითხს სტუ-ს „3დ სტერეოსკოპული ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. მინდა აღვნიშნო, რომ მე და ჩემს კოლეგას, ბატონ ზაზა ლომიძეს გვაქვს განუღიებელი მუშაობა 3დ სტერეოსკოპული ტექნოლოგიების მიმართულებით. მუშაობის პერიოდში აღმოვაჩინეთ, რომ შეგვეძლო შეგვექმნა დანადგარი, რომელიც თავისი პარამეტრებით წინ გაუსწრებდა უცხოურ მოწყობილობებს. ჩვენ არაერთი პრეზენტაცია გავმართეთ ამის შესახებ უნივერსიტეტში. აკადემიურმა საბჭომ უკვე დაგვიჭირა მხარი. ახლა თქვენ მოგმართავთ თხოვნით: დაგვიმტკიცოთ აღნიშნული ცენტრი, მითუმეტეს, რომ იგი თვითდაფინანსების პრინციპით იმოქმედებს.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე პროფ. გივი ლოლაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „3დ სტერეოსკოპული ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 სექტემბრის დადგენილება =963.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „3დ სტერეოსკოპული ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – სტუ-ს „ინტელექტუალური სენსორების კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილება =973 – მომხსენებელი პროფ. ნიკოლოზ მღებრიშვილი.

პროფ. ნიკოლოზ მღებრიშვილი: წარმოგიდგინოთ საკითხს სტუ-ს „ინტელექტუალური სენსორების კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. მოგახსენებთ, რომ ვმუშაობ ინტელექტუალური სენსორების მიმართულებით, მიღებული მაქვს გრანტები საერთაშორისო ცენტრებიდან. გვაქვს სურვილი შევექმნათ ცენტრი, რათა მოგვეცეს უკეთ მუშაობის შესაძლებლობა. აღნიშნული ცენტრი თვითდაფინანსების პრინციპით იმოქმედებს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე პროფ. ნიკოლოზ მღებრიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ინტელექტუალური სენსორების კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილება =973.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ინტელექტუალური სენსორების კვლევითი ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება =986 – მომხსენებელი პროფ. გიორგი სალუქვაძე.

პროფ. გიორგი სალუქვაძე: წარმოგიდგინოთ საკითხს საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნულზე უკვე იმსჯელა აკადემიურმა საბჭომ, სადაც საკითხი შემოიტანა სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა. მოგვხსენებათ, რომ სტუ-ს წესდების მე-3 თავის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ „ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები“. აქედან გამომდინარე დღეს აკადემიურმა საბჭომ მიიღო ასეთი დადგენილება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს საბჭოს მთლიანი შემადგენლობის 1/3-ის რაოდენობით.

სპიკერმა კონჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

### გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე პროფ. გიორგი სალუქვაძემ წარმოადგინა საკითხი საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება =986.

სენატმა გადაწყვიტა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს საბჭოს მთლიანი შემადგენლობის 1/3-ის რაოდენობით.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე საკითხი – სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 11 ოქტომბრის დადგენილების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება =985 – მომხსენებელი პროფ. ნუგზარ წერეთელი.

**პროფ. ნუგზარ წერეთელი:** მოგესხენებათ, რომ დამოუკიდებელ ბიუჯეტზე გადასვლის საკითხმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი. აკადემიური საბჭოს დავალებით უნდა წარმოგვედგინა ამ კრიზისიდან გამოსვლის ჩვენი ვარიანტი იმ დასაბუთებით, რომ დაგვრჩენოდა თანხა განვითარებისათვის. კოეფიციენტების ის სისტემა, რომელიც დღეს მუშაობს სტუ-ში, ჩვენ ამის საშუალებას არ გვაძლევდა. ფაკულტეტის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და დაანესა ფიქსირებული ხელფასები, ანუ არჩეულმა აკადემიურმა პერსონალმა მოიკლო თანხები და შედეგად 250 000 ლარი გამოთავისუფლდა განვითარების ფონდისთვის. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა აკადემიურმა საბჭომ და საკითხი გადმოსცა სენატს შემდგომი რეაგირებისათვის.

**სპიკერი:** მინდა დავაზუსტო: რაიმე წინააღმდეგობაში ხომ არ მოვდივართ იმ თვალსაზრისით, რომ აკადემიურმა საბჭომ დაადგინა აკადემიური პერსონალის საერთო ხელფასები და ფაკულტეტის საბჭო კი ამცირებს მათ. თქვენი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მდგომარეობა ფაქტობრივად უარესდება.

**პროფ. მერაბ ახობაძე:** თუ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ერთი ადამიანი მაინც გამოვა ფაკულტეტზე, შეიქმნება არასახარბიელო სიტუაცია, რადგან თანამშრომლებს ხელშეკრულება აქვთ დადებული სტუ-სთან. ხომ არ ჯობია შეიქმნას ფონდი?

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** ქალბატონ ქეთევანს მინდა ვკითხო: აკადემიური საბჭო ადგენს სარგოს, რომელიც ყველაზე ვრცელდება. აქვს თუ არა უფლება ფაკულტეტის საბჭოს, რომ მან ეს სარგოები შეცვალოს და გადაანაწილოს როგორც მას უნდა. აკადემიურმა საბჭომ დადგენილებაში თუ შეიტანა ცვლილება იმის თაობაზე, რომ ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია თავად შეამციროს სარგო? თუ არა, მაშინ როგორ მოეწონა მას ეს გადაწყვეტილება?

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ცხადია, წესდების თანახმად პროფესორის ხელფასის დამდგენი გახლავთ აკადემიური საბჭო და შემდეგ მას ამტკიცებს სენატი. თუმცა წინადადების წარდგენის უფლება აკადემიური საბჭოს წინაშე, რა თქმა უნდა, ფაკულტეტის საბჭოს აქვს. სწორედ ასე განვითარდა მოვლენები, ფაკულტეტი თავისი გადანყვეტილებითა და ინიციატივით შევიდა აკადემიურ საბჭოში, საბჭომ განიხილა საკითხი, დაეთანხმა და გამოსცა გადაწყვეტილება. რაც შეეხება ბატონი მერაბის წინადადებას ფონდთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ სტუ-ში ასეთი ფონდი არ არის, მაგრამ ყოველწლიურად ხორციელდება სატრანსფერო სისტემა. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი მხოლოდ წელს არ ჩავარდნილა რთულ სიტუაციაში. ასეთ შემთხვევაში ხორციელდებოდა ხოლმე ფინანსური ტრანსფერი.

**სტუ-ს რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი:** კიდევ ერთხელ განვმარტოთ საკითხი და ყველაფერი დავაყენოთ თავის ადგილზე. აკადემიური საბჭოს პრეროგატივაა დაადგინოს პროფესორის ანაზღაურების პირობები აკადემიური პერსონალისათვის. აკადემიურმა საბჭომ აღნიშნული ქმედება განახორციელა და დაადგინა ეს პირობები ყველა ფაკულტეტზე გარდა ერთისა, რადგან ფაკულტეტიდანვე იყო ინფორმაცია მოწოდებული, რომ თავად სურდათ განესაზღვრათ პირობები. ფაკულტეტი თავისუფალია ამ თვალსაზრისით, იგი წესით თავად აყალიბებს შეხედულებას საშტატო განრიგისა და ბიუჯეტის მიმართულებით და შემდეგ გვანჯდის ჩვენ. ასე მოიქცა ყველა დანარჩენი ფაკულტეტი, უბრალოდ მათ გაითვალისწინეს საუნივერსიტეტო მოსაზრება ერთნაირ ხელფასთან და პირობებთან დაკავშირებით. აღნიშნული არ გაითვალისწინა ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტმა და შემოგვთავაზა სხვა მოდელი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ყველა ფაკულტეტს აქვს უფლება საკუთარი მოდელის შემოთავაზებისა. მე როგორც რექტორი ფაკულტეტის ამ გადანყვეტილებას მხარს არ ვუჭერ, მაგრამ პატივს ვცემ, რადან ფაკულტეტისათვის ასე უკეთესია. მათ გაითვალისწინეს, რომ მდგრადობა არის დღეისთვის პრიორიტეტული.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მერვე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.**

## გ ა დ ა ნ წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე პროფ. ნუგზარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 11 ოქტომბრის დადგენილების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება =985.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცებულ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება და 2013-2014 სასწავლო წელს ფაკულტეტზე არჩეული აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურება განისაზღვროს ფიქსირებული ოდენობით:

პროფესორი (400 სთ) – 1000 ლარი

ასოცირებული პროფესორი (400სთ) – 740 ლარი

ასისტენტ- პროფესორი (400 სთ) – 550 ლარი

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეცხრე საკითხი – სტუ-ს მე-3 და მე-4 კორპუსსა და კოსტავას №75-ში მდებარე საცხოვრებელი სახლზე დამაგრებული ტერიტორიის წითელი ხაზების კორექტირების შესახებ – მომხსენებელი ბატონი მალხაზ ლომთაძე;

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეცხრე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

## გ ა დ ა ნ წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე ბატონმა მალხაზ ლომთაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს მე-3 და მე-4 კორპუსსა და კოსტავას №75-ში მდებარე საცხოვრებელი სახლზე დამაგრებული ტერიტორიის წითელი ხაზების კორექტირების შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: განხორციელდეს სტუ-ს მე-3 და მე-4 კორპუსსა და კოსტავას №75-ში მდებარე საცხოვრებელი სახლზე დამაგრებული ტერიტორიის წითელი ხაზების კორექტირება წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად.

**სპიკერი:** განვიხილოთ საკითხი, რომელიც ეხება სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში პროფესიული სწავლების საათობრივ ანაზღაურებას. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 სექტემბრის დადგენილება № 963<sup>1</sup> – მომხსენებელი პროფ. ანზორ აბშილავა.

**პროფ. ანზორ აბშილავა:** წარმოგიდგინოთ საკითხს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში პროფესიული სწავლების საათობრივი ანაზღაურების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა აკადემიურმა საბჭომ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

**სპიკერმა** კენჭისყრაზე დააყენა შემოაღნიშნული საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

### გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე პროფ. ანზორ აბშილავამ წარმოადგინა საკითხი სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში პროფესიული სწავლების საათობრივი ანაზღაურების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 28 სექტემბრის დადგენილება № 963<sup>1</sup>.

**სენატმა გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესიული პროგრამებისათვის საათობრივი ანაზღაურების ნიხრი და ერთი აკადემიური საათის ღირებულება განისაზღვროს 7 ლარის ოდენობით.
2. დამტკიცდეს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სარკინიგზო კოლეჯში პროფესიული პროგრამებისათვის საათობრივი ანაზღაურების ნიხრი და ერთი აკადემიური საათის ღირებულება განისაზღვროს 7 ლარის ოდენობით.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2013 წლის 1-ლი ნოემბრიდან.

**სპიკერი :** განვიხილოთ საკითხი, რომელიც ეხება 2013 წლიდან უნივერსიტეტში ჩარიცხული დევნილი სტუდენტების სწავლის საფასური განისაზღვრას – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2013 წლის 3 ივნისს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ეხება 2013 წლიდან უნივერსიტეტში ჩარიცხული დევნილ სტუდენტთა სწავლის საფასურზე 200 ლარიანი შეღავათის დაწესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ სენატმა მიიღოს გადაწყვეტილება, რათა 2013 წლიდან უნივერსიტეტში ჩარიცხული დევნილ სტუდენტთა სწავლის საფასური განისაზღვროს დადგენილ სწავლის საფასურზე 200 ლარით ნაკლებით.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა შემოაღნიშნული საკითხი, რომელიც დამტკიცდა.**

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =11**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 18 ოქტომბრის =39 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა საკითხი 2013 წლიდან უნივერსიტეტში ჩარიცხული დევნილი სტუდენტების სწავლის საფასური განისაზღვრის შესახებ.

**სენატმა გადაწყვიტა:** დამტკიცდეს 2013 წლიდან უნივერსიტეტში ჩარიცხული დევნილი სტუდენტების სწავლის საფასურზე 200 ლარიანი შეღავათი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2013 წლის 3 ივნისს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე.

**სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ** სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.



სენატის სპიკერი,  
პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,  
სტუდენტი

ბექა კოპაძე